



Asian Development Bank

პროექტის სპეციალური ფასილიტატორის
მიმოხილვისა და საბოლოო შეფასების ანგარიშის
შეჯამება

3063 (42414-043)-GEO სესხთან დაკავშირებით: **MFF** მდგრადი ურბანული ტრანსპორტის
საინვესტიციო პროგრამის მესამე ტრანში



2016 წლის სექტემბერი

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ინგლისურ ენაზე. მისი თარგმნა ქართულ ენაზე გახორციელდა პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის მიერ. შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას.

წინამდებარე დოკუმენტის საზოგადოებისათვის გაცნობა წარმოებს აზიის განვითარების ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის (2011 წელი) შესაბამისად.

გამოყენებული შემოკლებები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AP	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი
CWRD	ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი
GRC	საჩივრებზე რეაგირების კომიტეტი
GRM	საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი
km	კოლომეტრი
LARP	მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა
MDF	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MFF	მრავალტრანშიანი დაფინანსების მექანიზმი
MSW	სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OSPF	პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური
SPF	პროექტის სპეციალური კოორდინატორი

სარჩევი

	გვერდი
I. წინასიტყვაობა	1
II. საკითხების შეფასება	2
III. რეკომენდაციები და შემოთავაზებული სამოქმედო კურსი	5
A. რეკომენდაციები	5
B. შემოთავაზებული სამოქმედო კურსი	9
C. შემოთავაზებული განრიგი	11
IV. გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	12
დანართები:	
1. საჩივრის ფორმა	14
2. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის დასტურის წერილი	21

I. წინასიტყვაობა

1. თბილისი რუსთავის გზატკეცილის მოდერნიზაცია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ პროექტს წარმოადგენს. პროექტი გულისხმობს 17.1 კილომეტრის (კმ) სიგრძის მონაკვეთის გაუმჯობესებას, თბილისსა და რუსთავს შორის არსებული ორზოლიანი გზის გაგანიერებას და ოთზოლიან გზად გადაკეთებას და მის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის "I კატეგორიის" გზატკეცილად ქცევას, რომელიც განკუთვნილი იქნება მასზე სატრანსპორტო საშუალებების 120 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილებისათვის. მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის მე-3 ტრანში, სხვა პროექტებთან ერთად მოიცავს თბილისი-რუსთავის გზატკეცილის მოდერნიზაციის პროექტს. იგივე გზის სხვა მონაკვეთები (1-ლი მონაკვეთი 0 კმ-დან 4.0 კმ-მდე; და მე-3 მონაკვეთი 10.5 კმ-დან 17.1 კმ-მდე) დაფინანსებულ იქნა მრავალტრანშიანი დაფინანსების მექანიზმის მე-2 ტრანშის ფარგლებში.

2. პროექტით გათვალისწინებულია თბილისი-რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძის (მე-2 მონაკვეთი) არსებული გზის გაუმჯობესება და ახალი გზის მშენებლობა ფონიჭალადან რუსთავამდე. გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, მოცემულ პროექტში შემავალი გზის მონაკვეთის სიგრძე სულ იქნება 6.8 კმ, რომელში შემავალი 3.8 კმ სიგრძის მონაკვეთი, მდინარე მტკვრის გასწვრივ, იქნება ახალაშენებული გზა. პროექტით გათვალისწინებული გზატკეცილის მე-2 მონაკვეთი გადის საცხოვრებელ და სამრეწველო ტერიტორიებს და, შესაბამისად, გულისხმობს მნიშვნელოვან გადაადგილებებს.

3. 2016 წლის 28 აპრილს, აზიის განვითარების ბანკის (აგბ) მიერ დანიშნულმა პროექტის სპეციალური კოორდინატორის სახელზე შემოვიდა საჩივარი (იხილეთ დანართი 1), რომელსაც ხელს აწერდა იმ კორპუსის 13 მაცხოვრებელი, რომელიც პროექტის გამო დანგრევას ექვემდებარება; ხელმოწერთა მხრიდან არ ყოფილა დაყენებული მოთხოვნა მათი ვინაობის კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე. პროექტის სპეციალური კოორდინატორი ადასტურებს აღნიშნული საჩივრის მიღებას და იმ ფაქტს, რომ მან აღნიშნული საჩივარი დაარეგისტრირა 2016 წლის 28 აპრილს (იხილეთ დანართი 2).

4. მოცემული საჩივარი ეხება არაადეკვატურ კომპენაციას, რომელსაც სთავაზობენ ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ბინების მფლობელებს, რომელიც პროექტის თანახმად დანგრევას ექვემდებარება. მომჩივანთა განცხადებით, კომპენსაცია, რომელსაც მათ სთავაზობენ არ არის საკმარისი ისეთ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართის შესაძენად, სადაც შენარჩუნებული იქნება მათი ამჟამინდელი საცხოვრებელი გარემოს კეთილმოწყობა.

5. საჩივარში ჩამოყალიბებული პრობლემის მოგვარება, დადგინდა, რომ პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის კომპეტენციაში შედიოდა და 2016 წლის 20 მაისს იგი მიღებულ იქნა განსახილველად. საჩივართან დაკავშირებული საკითხების მოკვლევა და შეფასება გახორციელდა თბილისში 2016 წლის 5-20 ივლისს. აღნიშნული

მოკვლევის მიზანს წარმოადგენდა საჩივრის ისტორიის შესწავლა, ძირითადი მონაწილე მხარეების დადგენა, საჩივრის ძირითადი საკითხების გამოკვეთა, გამორკვევა იმისა, თუ რამდენად იყვნენ მხარეები მზად პრობლემის ერთობლივად გადაჭრისათვის და გასახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაციების მიწოდება. აღნიშნული მოკვლევა და შეფასება მოიცავდა (i) დოკუმენტების შემოწმებას, (ii) ინდივიდუალურ და ჯგუფურ ინტერვიუებს და (iii) შეხვედრებს..

II. საკითხების შეფასება

ორსართულიან საცხოვრებელ კორპუსში მაცხოვრებლებზე გასაცემი კომპენსაცია

6. ორსართულიან საცხოვრებელ კორპუსში მაცხოვრებლებზე გასაცემი კომპენსაცია ეფუძნება პრინციპს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მაცხოვრებლები თავად ირჩევენ მომავალ საცხოვრებელ ადგილს და მისი გაცემა წარმოებს ფულადი კომპენსაციის სახით საცხოვრებელი ბინის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით. აღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსში მდებარეობს 42 ბინა, რომლებიც 40 ოჯახის კერძო საკუთრებას წარმოადგენს. იმის გამო რომ შენობა წარსულში წარმოადგენდა საერთო საცხოვრებელს, მასში არსებული ბინების ფართი მცირეა. საცხოვრებელი ბინების აზომვები გახორციელდა 2013 წელს, მასალათა შეფასება წარმოებულ იქნა იმ პერიოდში ბაზარზე არსებული ღირებულების გათვალისწინებით. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო, აღნიშნული ბინების ფართის გათვალისწინებით მაცხოვრებლებზე გაცემული კომპენსაცია არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ მათ ახალი საცხოვრებელი ბინები შეეძინათ.

7. შემუშავებულ იქნა კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელიც მოცემული კორპუსის მაცხოვრებლებს საშუალებას მისცემდა შეეძინათ ალტერნატიული საცხოვრებელი ბინები, მათზე გაცემული კომპენსაციის თანხებით. ანალიზი, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა 1-, 2-, 3-, და 4-ოთახიანი ბინების ერთი კვადრატული მეტრის ფასები, ჩატარდა დამოუკიდებელი შემფასებელი კომისიის მიერ. აღნიშნული შეფასება გაკეთებულ იქნა გასაყიდად განკუთვნილი 11 საცხოვრებელი ბინის ფასებსა და ოთახების რაოდენობაზე დაყრდნობით.

8. ბინის გონივრული, მინიმალური ზომის სტანდარტის გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში გადაწყდა, რომ იმ ბინების მფლობელები, რომელთა ამჟამინდელი საცხოვრებელი ფართი 35 მ²-ზე ნაკლებს შეადგენს, მიიღებდნენ 35 მ² ფართის მქონე ბინის ეკვივალენტურ კომპენსაციას. ხოლო რაც შეეხება ბინებს, რომელთა ფართიც აღემატება 35 მ²-ს, მათი საკომპენსაციო თანხის გამოთვლა მოხდებოდა ფაქტობრივი ფართის გათვალისწინებით. მაშინ როცა მოცემული მიდგომა გულისხმობდა მცირე ფართის მფლობელებისათვის საკომპენსაციო თანხით საცხოვრებელი ბინების შეძენის საშუალების მიცემას, იგი კორპუსის მაცხოვრებლებს შორის კონფლიქტის მიზეზი გახდა.

9. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის მიერ დადასტურებული ბინების შეფასებისა და ფონიჭალას შემოგარენში და მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე რამოდენიმე გასაყიდი ბინის დათვალეირების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა იმის თაობაზე, რომ მაცხოვრებლებისათვის შეთავაზებული თანხა საკმარისია იმისათვის, რომ მათ შეიძინონ ამჟამად მათ საკუთრებაში არსებული ბინების მსგავსი ბინები. 1-, 2-, 3- და 4-ოთახიანი ბინების ფასი 1 კვადრატულ მეტრზე მერყეობს 250 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე. მაცხოვრებელთა ამჟამინდელი საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით, მათთვის შეთავაზებული საკომპენსაციო თანხა საშუალებას მისცემს მათ შეიძინონ გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები. გარდა ამისა, კომპენსაცია ითვალისწინებს ტრანსპორტირების/საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შემოსავლების დაკარგვასთან დაკავშირებულ ხარჯებს და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

კომუნიკაცია და კონსულტაციები

10. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს ურიგდებოდათ ბროშურები და მიეწოდებოდათ ინფორმაცია განსახლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ, საჯარო კონსულტაციებისა და შეხვედრების დროს. თბილისი-რუსთავის გზატკეცილის მე-2 მონაკვეთისათვის შეიქმნა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა, რომელიც განთავსებულ იქნა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე. კვლევისა და შეფასების პროცესში, კონსულტაციები მოიცავდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან როგორც ფორმალურ შეხვედრებს, ასევე პირისპირ, ინდივიდუალურ გასაუბრებებს. შეხვედრების ოქმებიდან და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან წარმოებული ინტერვიუების ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ კონსულტაციები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს შორის მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის ფორმატში.

11. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია კომპენსაციების დაანგარიშების ფორმის შესახებ, თუმცა მათ არ მიუღიათ აღნიშნული დოკუმენტის ასლები. ამ პირებისათვის არ მიუწოდებიათ ინფორმაცია ან მათ მიაწოდეს ძალიან მწირი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წარმოებულყო საკომპენსაციო თანხების გამოანგარიშება. მომჩივანთა განცხადებით, დეტალური აზომვების დროს კალკულაციები არასწორად იქნა წარმოებული, ვინაიდან მათში არ ყოფილა გათვალისწინებული საერთო სარგებლობის უბნები, რომლითაც სარგებლობენ კორპუსის მაცხოვრებლები.

12. კორპუსის მაცხოვრებლებს ჰქონდათ არერთი მცდელობა საკომპენსაციო თანხებთან დაკავშირებული საკუთარი პრეტენზიები მიეწვდინათ სხვადასხვა ინსტანციისათვის. მიუხედავად უამრავი წერილისა და საკითხზე მსჯელობის შემთხვევებისა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კორპუსის მაცხოვრებელთა შორის დავა დღემდე

გრძელდება. მათ შორის დაპირისპირებამ ისეთ ფაზაში გადაინაცვლა, რომ კორპუსის მაცხოვრებლებმა უარი განაცხადეს რაიმე სახის კომუნიკაცია ეწარმოებინათ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან. საჭიროა აღდგეს კომუნიკაცია კორპუსის მაცხოვრებლებსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის, რათა პროექტი შეფერხებების გარეშე გაგრძელდეს, ყოველგვარი მოულოდნელობებისა და გაუკვევლობების არსებობის გარეშე.

საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

13. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისა თუ პირების კითხვებზე, კომენტარებსა და საჩივრებზე რეაგირებას. არსებული მონაცემებით, საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი მხოლოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დონეზე ფუნქციონირებს. საჩივრების რეგისტრირება წარმოებს მონაცემთა ბაზაში, რომელშიც აისახება საჩივრის მიღების პროცესი, გატარებული შესაბამისი ღონისძიებები და საჩივრის დახურულად გამოცხადების პროცესი. საჩივრებზე რეაგირების მექანიზმს კურიერებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვის სამმართველოს განსახლების განყოფილება.

14. საჩივრებზე რეაგირების მექანიზმს არ გააჩნია რაიმე პროცედურები ან ვადები საჩივრებზე რეაგირებისათვის, რაც გასაგებს ხდის იმას, თუ რატომ იწელება საჩივრების განხილვის პროცესი. გარდა ამისა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომლებს არ გაუვლით მომზადება საჩივრებზე რეაგირების საკითხებში. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის რეკომენდაცია გულისხმობდა აზიის განვითარების ბანკის ჩართვას საჩივრებზე რეაგირების კომიტეტში, რაზეც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან სიტყვიერი თანხმობა იქნა მიღებული. ასევე იყო შემოთავაზება, რომ აზიის განვითარების ბანკში შესული ყველა საჩივარი დარეგისტრირებულიყო იგივე სისტემაში, სადაც რეგისტრირდებოდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სახელზე შემოსული საჩივრები. აზიის განვითარების ბანკსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ერთად უნდა ემუშავათ პროექტთან დაკავშირებით შემოსული საჩივრების რაც შეიძლება სწრაფად განხილვასა და დაკმაყოფილებაზე.

აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერა

15. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის დროული და ეფექტური გახორციელება სხვადასხვა უწყებებისა და სააგენტოების მონაწილეობას მოითხოვს. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან ფუნქციონირებს განსახლების განყოფილება, რომლის უფლებამოვალეობაშიც განსახლებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება შედის. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის გახორციელების გამოცდილება პროექტის 1-ლ და მე-3 მონაკვეთებთან დაკავშირებით,

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის მე-2 მონაკვეთის ნაწილი (ბ) გაცილებით მასშტაბურია და მეტ ამოცანას მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ აზიის განვითარების ბანკი პერიოდულად აწარმოებს პროექტის ზედამხედველობას, პროექტის გახორციელებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ეკისრება, და, შესაბამისად, საჭიროა პროექტის გახორციელებაზე ზედამხედველობის გააქტიურება. ვინაიდან პროექტი ამჟამად კრიტიკულ ფაზაში იმყოფება, იგი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს შორის უფრო მჭიდრო და უკეთეს კოორდინაციას საჭიროებს, რაც გულისხმობს პერსონალის რაოდენობის ზრდას, ზედამხედველობის გააქტიურებას და შესაძლებლობების გაფართოებას.

III. რეკომენდაციები და შემოთავაზებული სამოქმედო კურსი

ა. რეკომენდაციები

კომპენსაცია საცხოვრებელ ბინებზე

16. აღნიშნული ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებელთა შემთხვევა განსაკუთრებულ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება. მათი განსახლების პროცესს ართულებს ის განსაკუთრებული საცხოვრებელი პირობები, რომლებშიც ისინი ამჟამად ცხოვრობენ და ასევე ის, რომ ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული მათი განსახლების შემთხვევაში მათი უზრუნველყოფა იმ საცხოვრებელი პირობებითა და ცხოვრების წესით, რომელიც მათ ამჟამად გააჩნიათ. კორპუსის მაცხოვრებელთა დაკმაყოფილება ადეკვატური საცხოვრებელი ბინებით პრიორიტეტულ საკითხად უნდა იქნას მიჩნეული და საჭიროა გათვალისწინებული იქნას მათი განსაკუთრებული მდგომარეობა და განსაკუთრებული პირობები, რომლებსაც ისინი საჭიროებენ. ამ შემთხვევაში, გამართლებულია საკომპენსაციო თანხაში გათვალისწინებულ იქნას მიწისა და საერთო სარგებლობის ფართის ღირებულება.

17. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური აცნობიერებს, რომ საერთო სარგებლობის ფართის გათვალისწინება საკომპენსაციო თანხაში არ წარმოადგენს საქართველოში აპრობირებულ პრაქტიკას. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურისათვის მიწოდებული იურიდიული კონსულტაცია გულისხმობდა იმას, რომ მაცხოვრებლებს აქვთ უფლება მოითხოვონ კომპენსაცია საერთო სარგებლობის ფართებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ფართები დარეგისტრირებულია როგორც ცალკე საკუთრება. საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აქვს უფლება საკუთრებაში ჰქონდეს საერთო სარგებლობის ფართი, „იჯარით გაცემის, გაქირავებისა ან გაყიდვის უფლებით“¹. იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს

¹ საქართველოს კანონი "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ", მუხლი 18. <http://www.matsne.gov.ge>.

ფართის იჯარით გაცემა, გაქირავება ან გაყიდვა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ უნდა გამოიწვიოს აღნიშნული ფართი შენობაში არსებული სხვა ფართებისაგან. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი მობინადრეებისათვის საერთო სარგებლობის ფართების აზომვა და მათი დარეგისტრირება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრების ცალკე ერთეულის ფორმით.

18. მომჩივან პირებს მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული პროცედურის შესახებ და მათ აქვთ უფლება გარკვეულ ზომებს მიმართონ ამის გასახორციელებლად. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 28 მობინადრეზე უკვე გაცემულია კომპენსაცია, მომჩივან პირებს მოუწევთ მთავრობის(ახალი მფლობელის) თანხმობის მოპოვება, რეგისტრაციაზე. აღნიშნული პროცესი გარკვეულ სირთულეებთან, იქნება დაკავშირებული და შესაბამისად, გარკვეულ დროს მოითხოვს მათზე მოლაპარაკებები, შედეგად მივიღებთ პროცესების გახანგრძლივებასა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესის გართულებას.

19. პროექტის შეჩერებისა და დროის კარგვის თავიდან ასაცილებლად ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენს დამატებითი კომპენსაციების გაცემა. აქედან გამომდინარე, პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური იძლევა რეკომენდაციას აზიის განვითარების ბანკმა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილონ შემდეგი ვარიანტები:

ვარიანტი 1: მობინადრეებზე გასცენ საერთო სარგებლობის ფართის შესაბამისი კომპენსაცია, მას შემდეგ, რაც მოხდება აღნიშნული ფართების დარეგისტრირება. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს შეუძლიათ დააწესონ ვადები შესაბამისი ფართის დარეგისტრირებაზე, პროექტის შემდგომი შეჩერების თავიდან აცილების მიზნით.

ვარიანტი 2: მობინადრეებზე გასცენ დამატებითი შემწეობა კომპენსაციის ფორმით, რომელიც გათვალისწინებული იქნება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის სახით. აღნიშნული შემწეობა გაიცემა მხოლოდ ამ საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეებზე, მიუხედავად იმისა, შეძენილი აქვთ თუ არა აღნიშნული კორპუსის მობინადრეებს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები, და ეს შემწეობა დაფიქსირდება როგორც შენობის განსაკუთრებული ტიპის გათვალისწინებით გაცემული შემწეობა.

20. საცხოვრებელ ბინებზე გათვალისწინებული კომპენსაცია ეფუძნება სტანდარტულ ღირებულებას, მაშინ როცა საცხოვრებელი კორპუსის გარეთ არსებული სხვა შენობა-ნაგებობებისათვის (მაგალითად, როგორცაა გარაჟები) კომპენსაციის დაანგარიშება ეფუძნება გამოყენებული მასალის ღირებულებას. ამ მასალათა საბაზრო ფასების შესწავლა

წარმოებულ იქნა 2013 წელს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის გაცემა წარმოებულ იქნა 2015 წელს ან მოგვიანებით, საჭირო იქნება საკომპენსაციო თანხაში მასალის საბაზრო ღირებულების კორექტირება. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური იძლევა რეკომენდაციას, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მოთხოვნის საფუძველზე, მოხდეს მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში გათვალისწინებული ფასების გადასინჯვა პროექტის მე-2 მონაკვეთის ნაწილი (ბ) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების შემთხვევაში, რომელთაც არ მოუწერიათ ხელი შეთანხმებაზე.

განსაკუთრებული საკითხები

21. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს კომპენსაციის გაცემა ყველა მობინადრეზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ბინას ფლობენ ეს მობინადრეები. მობინადრეები, რომელთა საცხოვრებელი ფართი 35 მ²-ზე ნაკლებია, მიიღებენ 35 მ² საცხოვრებელი ფართის შესაბამის კომპენსაციას, როგორც ეს გათვალისწინებულია მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში. ვინაიდან ბინები დარეგისტრირებულია როგორც ცალკე საკუთრება, კომპენსაციის გაცემა წარმოებულ უნდა იქნას თითოეულ ბინაზე ცალკე. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური იძლევა რეკომენდაციას მასზე, რომ ორ შემთხვევაში (16.9 მ² და 23.35 მ², შესაბამისად) კომპენსაციის თანხა დაანგარიშდეს 35 მ² საცხოვრებელი ფართის შესაბამისად.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების დახმარება საცხოვრებელი ბინების შეცვლასთან დაკავშირებულ პროცედურებში

22. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში მოცემული კომპენსაციების დაანგარიშების ფორმის თანახმად, პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კუთვნილი ბინების ინდივიდუალური შესწავლის შედეგები. აღნიშნული პროცესი საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური ეხმარება მობინადრეებს მოამზადონ საკუთარი საჭიროებებისა და სურვილების ჩამონათვალი, რომლებზეც დაყრდნობითაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი შეეცდება მოიძიოს შესაბამისი საცხოვრებელი ბინები. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, ასევე მოინახულებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის შერჩეულ ალტერნატიულ საცხოვრებელ ბინებს. ეს ყოველივე ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ მობინადრეებისათვის საჭიროა შეირჩეს საცხოვრებელი ბინები, რომლებიც შეესაბამება მათ მოთხოვნებსა და სურვილებს.

პროექტის ფარგლებში წარმოებული კომუნიკაცია და კონსულტაციები

23. კომუნიკაცია და კონსულტაციები ადგილობრივ ადმინისტრაციასთან და შესაბამის უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან საჭიროებს ზედმიწევნით დაგეგმვას პროექტის გახორციელების სრული პერიოდის განმავლობაში. ყველა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მონაწილეობა, პროექტის გახორციელების ყველა ეტაპზე, მნიშვნელოვანია. პროექტის მშენებლობის ფაზაში შესვლასთან დაკავშირებით, პროექტის ფარგლებში საკომუნიკაციო გეგმა უზრუნველყოფს იმას, რომ პროექტის გახორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი და დაინტერესებული მხარეები სრულყოფილად იქნებიან ინფორმირებული პროექტთან დაკავშირებული საკითხებისა და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

24. აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტმა საჭიროა დაიქირავოს კომუნიკაციის სპეციალისტი, რომელიც, პროექტის გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით, დაეხმარება აღნიშნულ დეპარტამენტს საკომუნიკაციო გეგმის შემუშავებაში. საკომუნიკაციო გეგმის გახორციელება შესაძლებელია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გამოყოფილი საზოგადოების ჩართულობის სპეციალისტთან მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით. აღნიშნული გეგმის შედგენასა და გახორციელებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტის დაქირავებისათვის საჭირო რესურსები გათვალისწინებული უნდა იქნას პროექტში. დაქირავებული სპეციალისტი სხვა პროექტების ფარგლებში საკომუნიკაციო გეგმების გახორციელებაშიც მიიღებს მონაწილეობას.

საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

25. საჭიროა საჩივრებზე რეაგირების არსებული მექანიზმის დახვეწა, რათა იგი გახდეს უფრო ფუნქციური, ეფექტური და ეფექტიანი. ამისათვის საჭიროა მასში ჩართული იყოს არა მარტო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომლები. საჩივრებზე რეაგირების კომიტეტში წარმოდგენილი უნდა იყოს აზიის განვითარების ბანკი, არასამთავრობო ორგანიზაციები და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რათა პროექტთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხებისა და პრობლემების გადაჭრა დროულად მოხდეს. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი დათანხმდა საჩივრებზე რეაგირების კომიტეტში აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლების მონაწილეობას. აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ამჟამად აწარმოებენ მათ სახელზე შემოსული საჩივრების შეჯერებას, რაც ორივე მხარეს საშუალებას მისცემს დროულად მოიკვლიონ და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ პროექტთან დაკავშირებით შემოსულ საჩივრებზე.

26. საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური იძლევა რეკომენდაციას შემუშავებულ იქნას აღნიშნული მექანიზმის ახალი, გაუმჯობესებული სტრუქტურა, რომელშიც

გათვალისწინებული იქნება პროცედურები, საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების ვადები და საჩივრებზე რეაგირების კომიტეტის შემადგენლობა, ისევე როგორც კომიტეტის წევრთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები. საჭიროა გაიმართოს სამუშაო შეხვედრა პროექტის გახორციელებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, რომლის მიზანიც იქნება საჩივრებზე რეაგირების ახალი და გაუმჯობესებული მექანიზმის დეტალებზე შეთანხმების მიღწევა.

27. საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის სტრუქტურისა და პროცედურების შემუშავება, ისევე როგორც სამუშაო შეხვედრებისა და პერსონალის მომზადების ორგანიზება წარმოებული იქნება პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურთან და ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტთან მჭიდრო კოორდინაციის საშუალებითა და მათი ხელმძღვანელობის ქვეშ.

აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერა

28. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის გახორციელების მონიტორინგი და მასზე ზედამხედველობა ძალიან მნიშვნელოვანია. ვინაიდან აზიის განვითარების ბანკი იღებს ვალდებულებას გააძლიეროს მის მიერ წარმოებული ზედამხედველობა უსაფრთხოების სპეციალისტის საშუალებით, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სპეციალისტის დამატებითი სამუშაო დრო მოცემული პროექტის ფარგლებში. აზიის განვითარების ბანკის პროექტის ხელმძღვანელი და უსაფრთხოების სპეციალისტი მიუკერძოებელი უნდა იყვნენ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამოვლენისა და დადგენის საქმეში და უნდა უზრუნველყოფდნენ იმას, რომ არსებული საჭირო ღონისძიებები დაუყოვნებლივ იქნას გატარებული. პროექტის ფარგლებში საკომუნიკაციო გეგმისა და მის გასახორციელებლად სპეციალურად მომზადებული პერსონალის უზრუნველყოფა იქნება გარანტია იმისა, რომ პროექტის შემდგომი გახორციელება ნაკლებ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური მზად არის ხელი შეუწყოს საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის ფუნქციონირების გაუმჯობესებას და გაატაროს ღონისძიებები მისი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით. პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მაგალითად, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილზე წარმოებული ზედამხედველობის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

ბ. შემოთავაზებული სამოქმედო კურსი

29. შემოთავაზებული ღონისძიებები და სავარაუდო განრიგი, რომლებიც მოცემულია ქვევით, ემყარება პროექტის გადასინჯვასა და შეფასებას და დაინტერესებულ მხარეთა შემოთავაზებებს, პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის პროექტში დამოუკიდებელი კურატორის სახით ჩართვასთან დაკავშირებით.

30. **ეტაპი 1.** კომპენსაციების გადასინჯვა. აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აწარმოებენ საცხოვრებელი ბინებისაგან

განსხვავებული შენობა-ნაგებობების ფასების გადასინჯვას და ახალი ფასების განსაზღვრას, არსებული საბაზრო ღირებულებების გათვალისწინებით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული იმ პირების მოთხოვნის საფუძველზე, რომლებსაც არ აქვთ ხელი მოწერილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მე-2 მონაკვეთის ნაწილი ბ-ით გათვალისწინებულ შეთანხმებაზე.

31. აზიის განვითარების ბანკი და მთავრობა ერთობლივად მიიღებს გადაწყვეტილებას საერთო სარგებლობის ფართებზე კომპენსაციის გაცემის მეთოდთან დაკავშირებით. აზიის განვითარების ბანკი და მთავრობა ერთობლივად განიხილავს ზემოთაღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭირო მეთოდებს (მაგალითად, დამატებითი შემწეობის გაცემა კომპენსაციების ხელახალი დაანგარიშების საშუალებით, ან სპეციალური ფონდის შექმნა) და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

32. **ეტაპი 2.** საჩივრებზე რეაგირება. აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ერთად გაეცნობიან თითოეულის სახელზე შემოსულ საჩივრებს და მოახდენენ მათზე რეაგირებას, შესაძლებლობების ფარგლებში უმოკლეს დროში. აზიის განვითარების ბანკი წარმოდგენილი იქნება უსაფრთხოების სპეციალისტისა და/ან კონსულტანტის სახით. ორგანიზებულ იქნება რეგულარული შეხვედრები, საჩივართა განხილვისა და მათზე უმოკლეს დროში რეაგირების უზრუნველსაყოფად.

33. აზიის განვითარების ბანკი და მთავრობა დაადასტურებს მზადყოფნას ისარგებლოს პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის დახმარებით, პროექტით გათვალისწინებული საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის გადასინჯვისა და გაუმჯობესების საქმეში. რასაც მოჰყვება საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის პროექტის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აღნიშნული მექანიზმის სტრუქტურა, შემადგენლობა, საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების ვადები, შესაბამის კომიტეტში შემავალ პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები და ასევე მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროცედურები. მოგვიანებით, მოეწყობა შესაძლებლობების გაფართოებისადმი მიძღვნილი სამუშაო შეხვედრა, რომელსაც გაუძღვება პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური, რომლის მიზანიც იქნება საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პერსონალის მომზადება საჩივრებზე რეაგირებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

34. **ეტაპი 3.** სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. საჭიროა გაიმართოს სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომელიც გულისხმობს მთავრობის, აზიის განვითარების ბანკისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, რომლის ფარგლებშიც წარმოებულ იქნება სამუშაო გეგმის განხილვა და მოხდება ამ სამუშაო გეგმაზე შეთანხმება. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით წარმართულ სამუშაო შეხვედრაზე იწარმოებს მხარეების მზადყოფნის დადასტურება რეკომენდაციების გათვალისწინების

თაობაზე, მოხდება შეთანხმება რეკომენდაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების თაობაზე, თითოეული ღონისძიების პრიორიტეტების განსაზღვრა და მათთან დაკავშირებულ ბიუჯეტსა და ვადებზე შეთანხმება. მას შემდეგ, რაც მომჩივანი პირები დაადასტურებენ საკუთარ მზადყოფნას გააგრძელონ თანამშრომლობა პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურითან არსებული პრობლემების გადაჭრის მიმართულებით, პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური გამართავს სამუშაო შეხვედრას სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომლის ფარგლებშიც გახორციელდება შეთანხმებების მიღწევა და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება.

35. ეტაპი 4. დახმარება საცხოვრებელი ბინების შეცვლასთან დაკავშირებულ პროცედურებში. აზიის განვითარების ბანკი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი დაეხმარება აღნიშნული კორპუსის მობინადრეებს შესაფერისი ბინების მოძიებაში. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მიაწვდის მობინადრეთა საჭიროებისა და სურვილების ჩამონათვალს. საჭიროების შემთვევაში, პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მოინახულებს მობინადრეთათვის შერჩეულ საცხოვრებელ ბინებს.

36. ეტაპი 5. საკომუნიკაციო გეგმა. აზიის განვითარების ბანკი დაეხმარება მთავრობას შეიმუშაოს და გახორციელოს პროექტის ფარგლებში საჭირო საკომუნიკაციო გეგმა. ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი დაიქირავებს კონსულტანტს, აღნიშნული გეგმის გასახორციელებლად. აზიის განვითარების ბანკი და მთავრობა იმსჯელებს კონსულტანტის დაქირავებასთან და ამ მიზნით საჭირო ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე. დადგინდება კომუნიკაციისა და კონსულტაციების გეგმის გახორციელებისათვის საჭირო კონსულტანტის კომპეტენციის ფარგლები, რომელიც შემდგომ განსახილველად წარედგინება დაინტერესებულ მხარეებს.

37. მოცემული რეკომენდაციები და შემოთავაზებული სამოქმედო კურსი ემყარება იმ დასკვნებს, რომლებიც გაკეთებულ იქნა პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის გუნდის მიერ, მას შემდეგ, რაც იგი გაეცნო შექმნილ სიტუაციას, განხილვისა და შეფასების პროცესში. ადგილზე, შესაძლებელია გახორციელდეს სამოქმედო კურსში გარკვეული ცვლილებების შეტანა, ვინაიდან დაინტერესებულ მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი კომენტარები გააკეთონ მოცემული რეკომენდაციებისა და შემოთავაზებული სამოქმედო კურსის შესახებ.

გ. შემოთავაზებული განრიგი

საკითხი	თარიღი
პროექტის განხილვისა და შეფასების თაობაზე შედგენილი ანგარიშის წარდგენა მხარეებისათვის, ელ-ფოსტის საშუალებით დარეგისტრირებულ ელ-ფოსტის მისამართებზე	2016 წლის 5 აგვისტო

პროექტის განხილვისა და შეფასების თაობაზე შედგენილი ანგარიშის შესახებ მხარეების მიერ გაკეთებული კომენტარების მიღება	2016 წლის 8–15 აგვისტო
პროექტის განხილვისა და შეფასების თაობაზე ანგარიშის საბოლოო ვარიანტზე მუშაობის დასრულება	2016 წლის 29 სექტემბერი
საჩივრებზე რეაგირების კომიტეტის დაკომპლექტება აზიის განვითარების ბანკის თანამშრომლებით	დასრულებულია
აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ საჩივრების მიმდინარე განხილვა	გრძელდება დღემდე
მაცხოვრებლების განსახლებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და სურვილების აღწერა	დასრულებულია
შეთანხმება დამატებითი კომპენსაციის ვარიანტზე	დასრულებულია
საბაზრო ფასების კორექტირება	2016 წლიდან 2017 წლამდე
საცხოვრებელი ბინის არჩევაში მაცხოვრებელთა ხელშეწყობა	2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით
ინდივიდუალური შუამავლობა კომპენსაციის თაობაზე შეთანხმების მიზნით	2016 წლის სექტემბერი
საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის პროცედურების შემუშავება	2016 წლის ოქტომბერი
საცხოვრებელი ბინების მონახულება მაცხოვრებლებთან ერთად	2016 წლის ოქტომბრიდან
კონსულტანტთა მოწვევა კომუნიკაციისა და კონსულტაციის გეგმის გახორციელებისათვის	2016 წლის ოქტომბერი
შესაძლებლობების განვითარება პრობლემების გადაჭრისა და კომუნიკაციების გაღრმავების მიმართულებით	2017 წლის პირველი კვარტალი

38. დაინტერესებული პირების მხრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური ჩამოაყალიბებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით წარმართული სამუშაო შეხვედრის ამოცანებსა და დღის წესრიგს და განსაზღვრავს სხვა მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახური დახმარებას გაუწევს ყველა მხარეს თვალსაჩინოების მიზნით გამოსაყენებელი თუ სხვა ტიპის მასალის მომზადებაში.

IV. გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აზიის განვითარების ბანკი. 2015 წელი. საქართველო: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა, ტრანში 3 (თბილისი-რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძი) – მონაკვეთი 2, ნაწილი ბ), განსახლების გეგმა. მანილა.

აზიის განვითარების ბანკი. 1998 წელი. განსახლების სახელმძღვანელო: კარგი პრაქტიკის გზამკვლევი. მანილა.

მწვანე ალტერნატივა. [http://www. greenalt.org/](http://www.greenalt.org/)

მ. სერნეა. 1999 წელი. იძულებით განსახლებასთან დაკავშირებული ეკონომიკური საკითხები: კითხვები და პრობლემები. მსოფლიო ბანკი. ვაშინგტონი.

თ. ბარძიმაშვილი. 2013 წელი. საქართველო - ცხოვრების პრობები თბილისის გარეუბანში მდებარე უსინათლოთა დასახლებაში. „EuroasiaNets Weekly Digest“.

დანართი 1: საჩივრის ფორმა



პასუხისმგებლობის მექანიზმი



პროექტების სპეციალური კურატორის აპარატი

შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის განყოფილება

ა. მოსარჩელეთა არჩევანი და საკონტაქტო ინფორმაცია

1. მოსარჩელეთა არჩევანი

ა. გვსურს საჩივარი გადაეგზავნოს: (გთხოვთ მონიშნოთ მხოლოდ ერთი, **ნუ დატოვებთ შეუვსებელს**)

პროექტების სპეციალურ კოორდინატორს (არაფორმალური, მოქნილი და კონსესუსზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებითა და ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობისა და თანამონაწილეობის საფუძველზე ეხმარება პირებს, რომლებსაც უშუალო და მატერიალური ზარალი მიადგათ კონკრეტული პრობლემების გამო, რომლებიც გამოიწვია, ან, რომლებსაც სავარაუდოდ გამოიწვევს აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტები)

შესაბამისობის შემსწავლელ კომისიას (შეისწავლის და აწარმოებს მოკლევლვას აზიის განვითარების ბანკის მხრიდან ამავე ორგანიზაციის სამოქმედო პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობის საქმეებთან დაკავშირებით, აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტების შემუშავების, დამუშავებისა და გახორციელების პროცესში, რაც უშუალო მატერიალურ და უარყოფით გავლენას ახდენს, ან, სავარაუდოდ მოახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე)

ბ. გსურთ თქვენი ვინაობა დარჩეს კონფიდენციალურ ინფორმაციად?

დიახ არა

2. მოსარჩელების საკონტაქტო ინფორმაცია (მოსარჩელეთა ვინაობა კონფიდენციალურ ინფორმაციად დარჩება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოსარჩელები თანხმობას აცხადებენ საკუთარი ვინაობის გამჟღავნებაზე, თუმცა ანონიმური სარჩელები არ მიიღება.)

სახელი და გვარი	ხელმოწერა	საფოსტო მისამართი	ტელეფონის ნომერი (ფიქსირებული / მობილური)	ელ-ფოსტის მისამართი
1. გიორგი გედენიძე		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	599 88 05 89 (მობ.)	mr.g.gedenidze@mail.ru
2. ანაიდა ტაბატაძე		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	595 26 05 12 (მობ.)	
3. იზოლდა სუხიშვილი		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	579 21 37 79 (მობ.)	
4. მარინა ალავერდაშვილი		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	555 11 21 43 (მობ.)	
5. ირმა ქეშიკაშვილი		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	595 39 79 36 (მობ.)	
6. ინგა ქეშიკაშვილი		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი,	593 58 44 23 (მობ.)	

		კორპ. No 6	
7. ირინე არჩვაძე		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	595 79 39 42 (მოზ.)
8. გიორგი ლომიძე		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	2 40 35 29 (ფიქსირებული)
9. გიორგი გოქაძე		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	593 61 82 62 (მოზ.)
10. იური ომარაშვილი		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	555 55 58 44 (მოზ.)
11. გარი გრიგორიან		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	592 85 44 55 (მოზ.)
12. ნათია ჭყონია		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	598 92 61 00 (მოზ.)
13. ევენია ელბაქიძე		საქართველო, თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, კორპ. No 6	571 77 84 22 (მოზ.)

3. ინფორმაცია უფლებამოსილი წარმომადგენლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (უფლებამოსილი წარმომადგენლების ვინაობა, რომლებიც იმავდროულად არ წარმოადგენენ მოსარჩელებს, გამჟღავნებული იქნება, გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.)

წარმოდგენილი საჩივარი არ არის შედგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი, წოდება, საფოსტო მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტის მისამართი (უფლებამოსილმა წარმომადგენელმა საკუთარი ხელმოწერა უნდა დასვას მისი სახელისა და გვარის თავზე.)

გთხოვთ დაურთოთ მტკიცებულება იმისა, რომ სარგებლობთ უფლებამოსილებით წარმოადგენდეთ მოსარჩელებს, ამასთან მოსარჩელეთა სახელები და გვარები სრულად, მათი საფოსტო მისამართები, ტელეფონის ნომრები და ელ-ფოსტის მისამართები, არსებული გარემოებების შესაბამისად.

ბ. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება	თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მონაკვეთი 2-ის) პროექტი
პროექტის ადგილმდებარეობა	საქართველო, ქალაქი თბილისი, თბილისი-რუსთავის გზატკეცილი
პროექტის მოკლე აღწერა	<p>თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მონაკვეთი 2-ის) პროექტი ითვალისწინებს თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია-გაფართოებას ფონიჭალის მონაკვეთზე: კერძოდ, არსებული ორზოლიანი გზის გაფართოებას ოთხ ზოლამდე. პროექტის მიზანია თბილისსა და რუსთავს შორის არსებული დამაკავშირებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროექტს აფინანსებს აზიის განვითარების ბანკი, ხოლო მას ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.</p> <p>პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში 2016 წლის 6 აპრილს გამოქვეყნდა: 2016 წლის 25 მაისს დაგეგმილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარება. 2015 წლის 29 ოქტომბერს გამოქვეყნდა „თბილისი-რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძი - სექცია 2, ნაწილი ბ: განახლების სამოქმედო გეგმა“. დოკუმენტი არ ყოფილა საჯარო განხილვის საგანი.</p>

გ. საჩივარი

1. რა უშუალო და მატერიალური ზარალი მიადგა, ან, სავარაუდოდ მიადგება მოსარჩევეებს აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტის გახორციელებით?

ჩვენი საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც მდებარეობს თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, მოექცა თბილის-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მონაკვეთი 2-ის) პროექტის ზეგავლენის ქვეშ. პროექტის გამო ჩვენი გვიწევს იძულებით განსახლება. ჩვენთვის მიუღებელია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შემოთავაზებული იძულებითი განსახლების პირობები. ქვემოთ მოგახსენებთ ჩვენი უკმაყოფილების მიზეზებს.

საავტომობილო გზის პონიჭალის მონაკვეთის დაგეგმილი პროექტის გამო, 2013 წელს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის აუდიტი ჩაატარეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პროექტის განმახორციელებლები თავდაპირველად განიხილავდნენ პროექტის საჭიროებისათვის კორპუსის მხოლოდ ერთი ნაწილის დანგრევის შესაძლებლობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში მთელი კორპუსის მდგრადობას საფრთხე დაემუქრებოდა. ამდენად, საბოლოოდ, მთელი კორპუსის დანგრევა გადაწყდა. კორპუსის დანგრევის გამო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები გვთავაზობენ კომპენსაციას, რომლის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ჩვენი საცხოვრებლის მსგავსი ბინების შეძენა შეუძლებელი იქნება, როგორც ჩვენსავე დასახლებაში - ფონიჭალაში (ბოლო მონაცემებით ფონიჭალაში ბინების ფასები გაიზარდა და შემოთავაზებული კომპენსაცია ბევრად ჩამოუვარდება საბაზრო ფასს), ასევე თბილისის სხვა უბნებში. შემოთხსენებულის გამო, მაცხოვრებლების ნაწილმა უარი ვთქვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შემოთავაზებულ კომპენსაციაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპენსაციის გამოთვლისას, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა არ აღწერეს ჩვენს საერთო სარგებლობაში არსებული ფართი (მაგალითად, საერთო სარგებლობის საპირფარეშოები, ასევე საერთო დერეფნები, რომლებიც საკმაოდ დიდი და მოსახერხებელია უსინათლოებისათვის) და შესაბამისად, არ ასახეს საკომპენსაციო თანხაში. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მოსახლეს ერთ კვმ-ზე სხვადასხვა თანხა შესთავაზეს.

მოგვიანებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა ასევე შემოგვთავაზეს ბინები თბილისში, დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე ორსართულიან საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც როგორც გავიგეთ თავდაპირველად სტუდენტებისათვის აშენდა. ამ შემოთავაზებულ ვარიანტზეც უარი განვაცხადეთ, ვინაიდან ჩვენი კორპუსის ნაწილი უსინათლოებით არის დასახლებული (კორპუსი სპეციალურად უსინათლოთათვის 1060-იან წლებში აშენდა) და ამჟამინდელი საცხოვრებელიც მორგებულია უსინათლოთა ყოველდღიურ ყოფაზე (კორპუსთან ახლოს არის განლაგებული სკოლა, ბაღი, სამსახური და სხვა დაწესებულებები). გარდა ამისა, ფონიჭალაში ცხოვრება გაცილებით იაფია, ვიდრე დიღომში ან თბილისის სხვა უბანში. სხვა სიტყვებით, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება გართულდება, ხოლო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდება. ამ გართულებულ პირობებსა და გაზრდილ დანახარჯებს კი შემოთავაზებული კომპენსაცია არ ითვალისწინებს.

კორპუსის მაცხოვრებლების ნაწილი შემოთავაზებულ კომპენსაციას დათანხმდა და თანხაც უკვე მიიღო (დათანხმებულთა ნაწილი აღარ ცხოვრობდა აღნიშნულ კორპუსში და უბრალოდ ინარჩუნებდა კორპუსში მდებარე ბინებზე საკუთრებას, მეორე ნაწილმა კი დიდი ფართობის დათმობის საფასურად აღებული კომპენსაციით შეძლო მცირე ფართის მქონე ბინის ყიდვა და ამით დაკმაყოფილდა). ამის გამო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები გვაძალებენ რომ დავთანხმდეთ მათ მიერ შემოთავაზებულ კომპენსაციას; წინააღმდეგ შემთხვევაში ბინებიდან გამოყრით გვემუქრებიან. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან ყოველი ჩვენი შეხვედრა ჩვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობს.

2. ჰქონდა თუ არა აქამდე ადგილი მოსარჩევეების მხრიდან კეთილსინდისიერ ძალისხმევას მოეგვარებინათ აღნიშნული პრობლემა (პრობლემები) და საკითხი (საკითხები) აზიის განვითარების ბანკის შესაბამის განყოფილებასთან?

დიახ დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ როდის, როგორ, ვის მიერ და ვისთან იქნა აღნიშნული ძალისხმევა გახორციელებული.

1. 2015 წლის 26 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს მედგარ ჭელიძეს და მოვითხოვეთ განეხილა

- ჩვენი საკითხი და ჩვენი პრობლემის გადასაჭრელად მოეხდინა შესაბამისი რეაგირება (იხილეთ დანართი #1). იმავე დღეს შეხვედრა გვექონდა აზიის განვითარების ბანკის უცხოელ წარმომადგენლებთან, რომლებმაც გვითხრეს, რომ მათთვის მიგვემართა წერილობით. იმავე დღეს, 2015 წლის 26 ოქტომბერს, წერილობით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის უცხოელ წარმომადგენლებს.
2. 2016 წლის 22 თებერვალს საჩივრით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს მედგარ ჭელიძეს. ჩვენ ვითხოვდით, პროექტის გახორციელებით გამოწვეული ჩვენი დანაკარგების სრულფასოვან შეფასებას და შესაბამისი კომპენსაციის მიღებას (იხილეთ დანართი #2)
 3. 2. 2016 წლის 22 თებერვალს საჩივრით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობის დირექტორს იემიმ ელჰან კაილარს. ჩვენ ვითხოვდით, პროექტის გახორციელებით გამოწვეული ჩვენი დანაკარგების სრულფასოვან შეფასებას და შესაბამისი კომპენსაციის მიღებას (იხილეთ დანართი #3)

გთხოვთ დაასახელოთ ის ნებისმიერი პასუხი, რომელიც მიიღეს მოსარჩელებმა აზიის განვითარების ბანკის მხრიდან, ან აღწერეთ რა ქმედება გაახორციელა აზიის განვითარების ბანკმა მოსარჩელეთა მიმართვის საპასუხოდ

1. ჩვენს 2015 წლის 26 ოქტომბრის განცხადებაზე აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორისაგან იემიმ ელჰან კაილარისაგან (2015 წლის 4 ნოემბრის წერილი - იხილეთ დანართი #4) და აზიის განვითარების ბანკის ურბანული განვითარებისა და წყლის განყოფილების დირექტორისაგან ანანდ ჩიპლუნკარისაგან (2015 წლის 20 ნოემბრის წერილი - იხილეთ დანართი #5) მივიღეთ პასუხი, რომ ჩვენი წერილი გადაეგზავნა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს და მათ მოგვიწოდეს გაგვეგრძელებინა ფონდთან მოლაპარაკება.
2. ჩვენს 2016 წლის 22 თებერვლის საჩივარზე მივიღეთ აზიის განვითარების ბანკის ურბანული განვითარების მთავარი ეკონომისტის და პასუხისმგებელი თანამდებობის პირის იონგ იესაგან პასუხი (2016 წლის 1 მარტის წერილი - იხილეთ დანართი #6), სადაც ნათქვამია, რომ პროცესის საფუძვლიანი განხილვისათვის აუცილებელია, რომ ჩვენ ყველამ, დაწვრილებით, ცალ-ცალკე აღწეროთ ჩვენი პრობლემები და სასჩივრები ინდივიდუალურად წარმოვადგინოთ საჩივრების განხილვის კომიტეტში. ასევე, ამავე წერილში კვლავ მიგვითითეს, რომ გავაგრძელოთ თანამშრომლობა და მოლაპარაკებები ვაწარმოოთ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან.

გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საჩივრის დანაწევრებას და ინდივიდუალური საჩივრების წარდგენას ჩვენგან სიტყვიერადაც ითხოვდნენ როგორც აზიის განვითარების ბანკის, ასევე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები, თუმცა, არც მათთან შეხვედრების და არც ზემოთ აღნიშნული პასუხის მიღების შემდეგ, ჩვენ ამ მეთოდისათვის არ მიგვიმართავს, რადგან:

- ჩვენ კორპუსში მცხოვრებ ყველა მოსახლეს ერთმანეთის მსგავსი პრობლემა გვაქვს და საჩივრების ინდივიდუალურად წარდგენის საჭიროება არ არსებობს;
- საჩივრის დანაწევრება და ინდივიდუალური საჩივრების წარდგენა ჩვენთვის ნიშნავს საწყის ეტაპზე დაბრუნებას. თუთოეული საჩივრის მომზადება და შემდეგ მათი ცალ-ცალკე განხილვა კიდევ უფრო შეანელებს პრობლემის რელაურად გადაჭრის პროცესს;
- ვფიქრობთ, რომ აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები საჩივრების ინდივიდუალურად წარდგენისაკენ გამიზნულად გვიბიძგებდნენ, რათა მომავალში არ მოგვეცმოდა თქვენს უწყებაში საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა (როგორც ცნობილია, აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის თანახმად, „ანგარიშვალდებულების მექანიზმში“ საჩივრის წარდგენა შეუძლია მომჩივანთა ჯგუფს, რომელიც შედგება ორი ან მეტი ადამიანისაგან).

რაც შეეხება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან თანამშრომლობის გაგრძელებას, ჩვენ უკვე გვექონდა ფონდთან, როგორც წერილობითი ასევე სიტყვიერი კომუნიკაცია, თუმცა, ჩვენი ურთიერთობა უშედეგოდ სრულდებოდა ყოველ ჯერზე (იხილეთ ასევე ქვემოთ მოყვანილი პუნქტი 4).

არა

3. ჰქონდა თუ არა აქამდე ადგილი მოსარჩელების მხრიდან მცდელობას დაემყარებინათ კონტაქტი პროექტების სპეციალურ კოორდინატორთან ან შესაბამისობის შემსწავლელ კომისიასთან და ეუწყებინათ მათთვის საკუთარი პრობლემების შესახებ?

დიახ, პროექტების სპეციალური კოორდინატორის აპარატი კომისია

დიახ, შესაბამისობის შემსწავლელი

არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თუ როდის შედგა კონტაქტი, როგორ ვითარებაში, იმ პირის ვინაობა ვინც დაამყარა მსგავსი კონტაქტი და იმ პირის ვინაობა, ვისთანაც მოხდა ამ კონტაქტის დამყარება.

გთხოვთ დაასახელოთ ის ნებისმიერი პასუხი, რომელიც მიიღეს მოსარჩელებმა პროექტების სპეციალური კოორდინატორის ან შესაბამისობის შემსწავლელი კომისიის მხრიდან, ან აღწერეთ რა ქმედება გაახორციელა აღნიშნულმა უწყებებმა მოსარჩელეთა მიმართვის საპასუხოდ.

4. გთხოვთ მოგვაწოდოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც თქვენი აზრით თქვენს სარჩელს უკავშირდება.

ჩვენ 2015 წლის ოქტომბრიდან დავიწყეთ წერილობითი კომუნიკაცია სხვადასხვა უწყებასთან:

1. 2015 წლის 19 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ კრწანისის რაიონის გამგებელს, გიორგი კოპალიციშვილს და მოვითხოვეთ, შეძლებისდაგვარად გაეწიათ ჩვენთვის დახმარება (იხ. დანართი #7). ამ განცხადებაზე 2015 წლის 17 ნოემბერს გვიპასუხეს, რო აღნიშნული საკითხი სცილდებოდა მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას და შესაბამისად, ჩვენ დახმარებას ვერ შეძლებდა (იხ. დანართი #8).
2. 2015 წლის 19 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ კრწანისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ბექა ნაცვლიციშვილს (იხ. დანართი #9). პასუხი ამ წერილზე დღემდე არ მიგვიღია.
3. 2015 წლის 19 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ ქ. თბილისის მერს, დავით ნარმანიას (იხ. დანართი #10). ამ განცხადებაზე 2015 წლის 10 დეკემბერს სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან უარყოფითი პასუხი მივიღეთ (იხ. დანართი #11).
4. 2015 წლის 26 ოქტომბერს განცხადებით მივმართეთ მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს ჯუანშერ ბურჭულაძეს. ამ განცხადებაზე 2015 წლის 3 ნოემბერს გვიპასუხეს, რომ ჩვენი განცხადება საჩივრების განხილვის კომისიას გადაეგზავნა განსახილველად (იხ. დანართი #12).
5. 2016 წლის 1 თებერვალს განცხადებით მივმართეთ საქართველოს პრემიერ მინისტრს გიორგი კვიციანიძეს (იხ. დანართი #13). პასუხი მივიღეთ, რომ ჩვენი განცხადება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაეგზავნა (იხ. დანართი #14).
6. 2016 წლის 1 თებერვალს განცხადებით მივმართეთ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს ბატონ ნოდარ ჯავახიციშვილს (იხილეთ დანართი #15). პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

დ. არასავალდებულო ინფორმაცია (შემდეგი ინფორმაცია არ წარმოადგენს სავალდებულო ინფორმაციას, მაგრამ დაგვეხმარება თქვენი საჩივრის განხილვაში.)

1. მომჩივარ პირებს მიუმართავთ საჩივრით პროექტის საჩივრებზე რეაგირების მექანიზმსათვის?

დიახ დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ როდის, როგორ, ვისთან იქნა დამყარებული კონტაქტი.

2016 წლის 15 იანვარს საჩივრით მივმართეთ საჩივრების განხილვის კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს (იხილეთ დანართი #16).

აღწერეთ ნებისმიერი პასუხი, რომელიც მიიღეს მომჩივანმა პირებმა მათი საჩივრის პასუხად, ან ნებისმიერი ქმედება, რომელიც გახორციელდა მათ საჩივარზე რეაგირების შედეგად.

2016 წლის 18 მარტს მივიღეთ პასუხი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, სადაც ნათქვამი იყო, რომ კომისიამ განცხადებაში ჩვენ მიერ მითითებული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა (იხილეთ დანართი #17).

არა უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ, რატომ?

2. მომჩივანი პირების აზრით, როგორ მოგვარებს მათ პრობლემას აზიის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკის ანგარიშვალდებულების მექანიზმის საშუალებით, რა არის მათთვის სასურველი შედეგი?

ჩვენ ვაცნობიერებთ სავტომობილო გზის გაფართოების საჭიროებას და ზოგადად, პროექტის მნიშვნელობას, მაგრამ, ამასთანავე მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ პროექტის გამო არ უნდა იქნას უგულვებლყოფილი ჩვენი უფლებები და ინტერესები.

<p>ჩვენ ვითხოვთ, რომ სრულფასოვნად იქნას შესაწავლილი და შეფასებული თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის პროექტის გახორციელებით გამოწვეული ჩვენი დანაკარგები (მათ შორის, ქონების, განსახლების, ადაპტაციისა და სხვა ხარჯები) და შემოგვთავაზონ შესაბამისი კომპენსაცია (მათ შორის, განხილულ იქნას ფონიჭალაშივე განსახლების ალტერნატივა).</p>
<p>3. რატომ მიიჩნევენ მომჩივარი პირები, რომ ჯერ დაუდასტურებელი პირდაპირი და მატერიალური ზარალი რომელიც მათ მიადგათ, არის შედეგი იმისა, რომ აზიის განვითარების ბანკი სათანადოდ ვერ ახორციელებს მის მიერვე განსახდვრულ პოლიტიკასა და პროცედურებს? (აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მომჩივარი პირები ირჩევენ მათი საჩივარი განხილული იქნას შესაბამისობის შემსწავლელ კომისიის მიერ.)</p>
<p>4. გთხოვთ, აღწეროთ ის სამოქმედო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც სათანადოდ არ იქნა შესრულებული აზიის განვითარების ბანკის მიერ, პროექტის შემუშავების, მომზადებისა ან განხორციელების პროცესში. (აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მომჩივარი პირები ირჩევენ მათი საჩივარი განხილული იქნას შესაბამისობის შემსწავლელ კომისიის მიერ.)</p>
<p>5. აქვთ მომჩივანებს სხვა რაიმე საკითხები ან ფაქტები (რომლებიც დოკუმენტებით იქნება გამყარებული), რომლებიც, მომჩივანებს სურთ გააცნონ ანგარიშვალდებულების მექანიზმს?</p> <p>ქვემოთ, მოკლედ აღწერილია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან და აზიის განვითარების ბანკთან ჩვენი კომუნიკაციის ქრონოლოგია:</p> <p>თავდაპირველად, პროექტის შესახებ ინფორმაცია აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს. 2013 წლის ზაფხულში აზიის განვითარების ბანკის განსახლების სპეციალისტი მედვარ ჭელიძე გვეწვია და კორპუსის მაცხოვრებლებს შეგვხვდა. მან მოგვაწოდა ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ და გვითხრა, რომ მხოლოდ კორპუსის ნაწილი უნდა დაენგრიათ, რაზეც ჩვენი კორპუსის მაცხოვრებლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს.</p> <p>2013 წლის ზაფხულშივე გვეწვივნენ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლებიც, დაგვირბეს ბუკლეტები პროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციით და ჩაატარეს შეხვედრა. ამ შეხვედრაზე გამოგვიცხადეს, რომ თუ თანხმობის შემთხვევაში კორპუსი მთლიანად დაინგრეოდა, ჩვენ კი მივიღებდით სათანადო კომპენსაციას ან ახალ ბინებს.</p> <p>2013 წლის შემოდგომაზე ჩვენთან კვლავ მოვიდნენ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები და შეგვავეცხადეს ფორმები, სადაც გვთხოვდნენ, გამოგვეთქვა ჩვენი აზრი კომპენსაციის ფორმის თაობაზე- რომელს ვამჯობინებდით, თანხის თუ ბინის მიღებას. ფორმების შევსებისას ზოგმა მონიშნა თანხობრივი კომპენსაცია, ზოგმა - ბინა , ზოგმა კი ორივე ვარიანტი.</p> <p>2013 წლის ზაფხულში ჩაატარეს ჩვენი კორპუსის აუდიტი - კორპუსს სურათები გადაუღეს და ბინები აზომეს. ამის შემდეგ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან კონტაქტი აღარ გვქონია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც 2013 წლის მეორე ნახევარში მაცხოვრებლებმა გადავწყვიტეთ კორპუსის სახურავის გამოცვლა. მაშინ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში გაგვაფრთხილეს, რომ კორპუსი, სავარაუდოდ ნგრევას ექვემდებარება და სახურავი არ შეცვალოთ.</p> <p>2015 წლის სექტემბერში კვლავ აღდგა კომუნიკაცია ჩვენსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის, ჩვენ მიგვიწვიეს შეხვედრაზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ოფისში. შეხვედრას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები დავით ბაინდურაშვილი და დავით არსენიშვილი უძღვებოდნენ. მათ გვითხრეს, რომ კორპუსი უნდა დანგრეულიყო, ჩვენ კი კომპენსაციას გადაგვიხდინდნენ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები დაგვიპირდნენ, რომ გზის გაყვანა ჩვენზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენდა, პირიქით, მას დადებითი ეფექტი ექნებოდა და ჩვენი ცხოვრების პირობებიც გაუმჯობესდებოდა. მათივე დაპირების თანახმად, მოლაპარაკებები აუცილებლად გაგრძელდებოდა და ისინი ჩვენს აზრს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. ამ შეხვედრაზევე აღინიშნა, რომ ჩვენ დაკარგული საკუთრების საფასურის გარდა, გადაგვიხდინდნენ ე.წ. “დისკომფორტის” საფასურს- ქონების საფასურის 30%-ს. ამ შეხვედრის შემდეგ გამართულ შეხვედრებზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები უკვე აღარ ახსენებდნენ “დისკომფორტის” საფასურს და დროდადრო ცვლიდნენ თავის პოზიციებს.</p> <p>გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ჩვენი კორპუსის ამხანაგობის თავჯდომარეს საქართველოს</p>

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაურევს და თხოვეს, რომ მოსალაპარაკებლად ინდივიდუალურად მივსულიყავით. ამაზე ჩვენ უარი განვაცხადეთ და მოვითხოვეთ ჩვენთან მოსალაპარაკებლად ადგილზე მოსულიყვნენ. 2015 წლის სექტემბრის ბოლოს, შეხვედრაზე მოვიდნენ დავით ბაინდურაშვილი და დავით არსენიშვილი, თუმცა, მათგან ამ შეხვედრაზე კონკრეტული პასუხები არ მიგვიღია. მათ გვითხრეს, რომ მიუხედავად ჩვენი უკმაყოფილებისა, პროექტი მაინც განხორციელდებოდა, ან როგორც თავდაპირველად იყო დაგეგმილი, კორპუსის ნაწილი მაინც დაინგრეოდა.

2015 წლის 3 ოქტომბერს შეხვედრით აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენელს მედგარ ჭელიძეს. მან გვიჩვენა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში მივსულიყავით და საკომპენსაციო თანხის ოდენობაზე იქ გვედავა. ამის შემდეგ, ჩვენი კორპუსის ამხანაგობის თავჯდომარე და ერთი წარმომადგენელი შეხვედრენ კვლავ დავით ბაინდურაშვილს. შეხვედრა (ისევე , როგორც, პრაქტიკულად, ყველა სხვა შეხვედრა ამ ადამიანთან) მეტად დამაბულ ვითარებაში წარიმართა. დავით ბაინდურაშვილი უხეშად ირონიით მოგვმართავდა, დაგვცინოდა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა ჩვენზე. ამავე შეხვედრაზე, ჩვენ კვლავ დაგვისახელეს საკომპენსაციო თანხა, რაზეც ჩვენ უკმაყოფილება გამოვთქვით მისი სიმცირის გამო.

ამის შემდეგ, არაერთხელ გვქონდა შეხვედრა აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან, თუმცა მათგან იგივე პასუხს ვისმენდით.

2015 წლის 10 ნოემბერს შეხვედრით აზიის განვითარების ბანკის უცხოელ წარმომადგენლებს, რომლებმაც გვითხრეს, რომ ჩვენ საკითხს აუცილებლად განიხილავდნენ და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს დაავალდებდნენ ჩვენთან თანამშრომლობას. ასევე, შექმნიდნენ საჩივრების განხილვის კომისიას, რომელიც ჩვენთან ითანამშრომლებდა. კომისიის თავჯდომარე, მათი თქმით, ჯუანშერ ბურჭულაძე იქნებოდა.

2015 წლის 26 ნოემბერს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში კვლავ შეხვედრით დავით ბაინდურაშვილსა და მის კოლეგას დავით არსენაშვილს. დავით ბაინდურაშვილმა გვიჩვენა, რომ საჩივარი არ დაგვეწერა და მათთან “თანამშრომლობა” გაგვეგრძელებინა.

ამასთან, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებთან ყოველი ჩვენი შეხვედრის დროს, ისინი მოგვიწოდებდნენ, ჩვენი პრობლემა ყველას დაწვრილებით ცალ-ცალკე აგველწერა და საჩივრები ინდივიდუალურად წარგვედგინა.

წინამდებარე ფორმის შემსესები პირის ვინაობა: ირმა სვანიძე, “მწვანე ალტერნატივა”

მწვანე ალტერნატივა დახმარებას უწევს მომჩივან პირებს, მაგრამ ფორმალურად არ წარმოადგენს მათ. გთხოვთ იხილოთ თანდართული მომჩივანთა წერილი (დანართი #18), სადაც ისინი მწვანე ალტერნატივას ანიჭებენ უფლებამოსილებას მოახდინოს ამ საჩივართან დაკავშირებული ინფორმაციის/გადაწყვეტილებების და შემდგომი კორესპონდენციის/მასალების გადაცემა, ერთი მხრივ მომჩივანებსა და მეორე მხრივ, საჩივრების მიმღებ ოფიცერსა ან/და საჩივრების განმხილველი საბჭოს შორის.

ხელმოწერა:

თარიღი: 2016 წლის 12 აპრილი

დანართი 2: პროექტის სპეციალური კოორდინატორის სამსახურის დასტურის წერილი



პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისი

28 April 2016

ბატონ გიორგი გედენიძეს
მე-6 კორპუსი,
რუსთავის გზატკეცილი,
თბილისი, საქართველო
Mr.g.gedenidze@mail.ru

თემა: სესხი #3063-GEO: MFF - მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ინვესტირების
პროგრამის მესამე ტრანში - საჩივრის დადასტურება

ბატონო გიორგი,

წინამდებარე წერილი შეეხება თქვენს საჩივარს. რომელიც 2016 წლის 12 აპრილს მიღებულ იქნა საჩივრების მიმღები ოფიცრის მიერ. პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისი (OSPF) გიდასტურებთ 2016 წლის 28 აპრილს საჩივრის მიღებას და მისი დაერგისტრირება მოხდება საჩივრების რეესტრში.

მომავალში, პროცესის შემდეგ ეტაპზე ვიქონიებით თქვენთან კომუნიკაციას, რომლის დროსაც გადაწყდება საჩივრის შესაბამისობა ADB-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პრობლემების გადაჭრის პროცესის კრიტერიუმებთან. ჩვენ ასევე მივიღეთ კომუნიკაცია ჩვენი ოპერაციული დეპარტამენტისგან, რომელის მუშაობს აღნიშნულ პროექტზე საქართველოში და მიიღო თქვენი საჩივარი.

ტრანსპარენტულობის კუთხით, ჩვენ გვსურს თქვენი საჩივრის წერილი და ასევე პიროვნებების სახელები განვათავსოთ ჩვენს ვებ-გვერდზე, მაგრამ აღნიშნული მოხდება მხოლოდ თქვენი თანხმობის შემთხვევაში. გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პასუხი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

დამატებითი შევითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

პატივისცემით,

ჯენიფერ ფრენსი
პასუხისმგებელი ოფიცერი

ASIAN DEVELOPMENT BANK
6 ADB Avenue, Mandaluyong City
1550 Metro Manila, Philippines
Tel +63 2 632 4444
Fax +63 2 636 2444